ცნობის ფურცელი

№ 2342 ხუთშაბათი, 4 დეკემბერი 1896—1903 ყოველ-დღიური გამოცემა № 2342

ფასი: წელიწადში—6 მან., ცალკე თვეში 50 კ. ნომერი—3 კაპ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე“-„ცნობის ფურც.“ რედაქციის კონტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“. ტელეფონი № 372.

27. წარ. აბონემ. № 8 ტელეფონი № 617.

ქართული თეატრი

ხუთშაბათს, 4 დეკემბერს 1903 წ.

ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქმნება

I

მზეს მოკლებულნი

დრამა 4 მოქმ. ვეინბერგისა თარ. აწყურელისა

II

რაც არ მერგება არ შემერგება

ვოდ. 1 მოქმ. ვ. გუნიასი.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი ტასო აბაშიძე, ნ. გაბუნია-ცაგარელი, ალ. კარგარეთელი, ელ. ჩერქეზიშვილი, ნ. ჯავახიშვილი. ბ-ნნი: ვ. აბაშიძე, ვ. გუნია, გ. გედევანოვი, ნ. გვარაძე, ა. იმედაშვილი, ს. სვიმონიძე, კ. ყიფიანი, კ. შათირიშვილი, შალიკაშვილი.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

ტფილისის სახაზინო თეატრი. რუსული ოპერა.

ანტრეპრიზა მისის უდიდებულესობის სოლისტის ნ. ნ. ფიგნერისა.

პარასკევს, 5 დეკემბერს, 1903 წ., წარმოდგენილი იქმნება

მაზეპა

ოპერა 3 მოქმ. ჩაიკოვსკისა.

მონაწილეობას იღებენ; ქ-ნნი: ფერტიგ და კარრი; ბ-ნნი; დარსკი, გლადკოვი, სელიავინი, ილიუშჩენკო, ამირჯანი და გავრილოვი.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე. კაპელმეისტერი ი. ა. პოზენი.

ანონსი: 6 დეკემბ.—წარმოდგენილი იქმნება „ტრავიატა“, ფიგნერის მონაწილეობით. კვირას, დილით—„რუსლან და ლიუდმილა“, საღამოს—„ევგენი ონეგინ“; ხუთშაბათს ნ. ნ. ფიგნერის საბენეფისოდ „ოტელლო“. მზადდება წარმოსადგენად „კამმორა“. (ნ.)

12 დეკემბერს 1903 წელს

ქართულ დრამატიულ საზოგადოების სასარგებლოდ გამართულ იქნება

ბალი (მეჯლისი)

კნ. ნ. ე. **ქობულაშვილის** სახლში (არშაკუნისეული), გრიბოედოვის ქუჩაზე, № 23. საღამოს დიასახლისად ბრძანდება უგანათლ. კნეინა **თ. დ. გრუზინსკისა.**

ბილეთები ისყიდება ქართულ თეატრის კასაში. (ჯ. 5—1)

ტფილისის

კერძო სამკურნალო

მკურნალის დ. ა. გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დილით:

ვ. ჭიჭინაძე—კბილისა, 8—10 საათამდე.

ლ. ივ. კამოევი.—საშარდეს, ვენერ. სიფილ. 10 ს.—11-მდე.

ნ. ტ. მულინი.—ყურისა, ყელისა და ცხვირის 9—10 საათამდე.

ი. პ. ახალშენიშვილი.—კბილისა, 10 ს. 11 ს.

ა. გ. მალალაშვილი—ბავშვებისა და შინაგ. 10—11 საათ.

ვ. დ. ლამბაშიძე.—შინაგ. და ბავშვ. ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ. 11—12.

ლ. მ. მოჩინი.—ქალისა, საბებიო და ბავშ. (შემოწმება ძიძებისა) ოთხშაბათ, პარასკ. და კვირაობით 11—12 საათამდე.

დ. ა. გედევანიშვილი.—შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12 1 ს.

ექ. ქალი მ. კ. იოსელიანი. ქალისა და საბებიო, სამშ., ხუთშ. და შაბათ. 12 1 ს.

გრ. ზ. სოგოლევსკი.—ხირურგია და ორტოპეიდა: ორშაბათობით, ოთხშ., პარასკ. და შაბათ. 1—2 საათამდე.

ვ. მ. მანსვეტოვი.—შინაგანი, ნერვებისა და ბავშვების, კვირაობით 10—12.

საღამოთი:

ა. გ. მალალაშვილი.— შინაგ., ბავშ., ყვავილის აცრა და მიკროქიმიური გამოკვლევანი 5—6 ს.

სამკურნალოს აქვს ოცი საწოლი კრავატი

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ., ოპერაციები მორიგებით. კრავატები სამი მანეთიდან ხუთამდე.

ადრესი: კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (კუკიის ხიდიდან მეცხრე სახლი) სახლი აბრამოვისა, № 9. მიხეილის ქუჩიდან-კი 34 Б.

(წლ.) **ტელეფონი** 4. № 27

ექიმი

ვ. ს. მუსხელიშვილი

მიიღებს თვალით ავადმყოფებს დილით 4—3 საათ., საღ. 6—7. წყნეთის ქუჩა, № 21 სახლი ვნანისა. (წლ.)

ექიმი

ვ. დ. ლამბაშიძე

ორშაბათს, ოთხშაბათს და პარასკევს საღამოს 6—7 საათ. ნიკოლოზის ქუჩა, სახლი № 46. წლ.

ქუთაისში ექიმი გ. დ. ნასარიძე

მიიღებს შინაგან და ნერვების სნეულებთი ავადმყოფთ დილით 9—12-მდე, საღამოით 5—7 საათამდე. ტფილისის ქუჩა, სახლი ანტაპარმაკლიძისა. (0—6.—26)

კბილის ექიმი

ი. პ. ახალშენიშვილი

(ელისაბედის ქუჩა, № 38).

იღებს ავადმყოფებს დილის 9—2 საათამდე. საღამოობით 5—7-მდე, ხოლო კვირა-უქმეობით 9—1-მდე და საღამოობით 5—7-მდე.

საზღვარ-გარედ

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

შორეულ-აღმოსავლეთის საქმე

ინგლისური გაზეთები იუწყებიან, იაპონია და რუსეთი უსათუოდ მარიგდებიანო. რუსეთი თანახმაა, იაპონიას უპირატესობა მიეცეს კორეიაში იმ პირობით, რომ რუსეთსაც ზოგიერთი უფლება ჰქონდეს კორეიაში. ამას გარდა რუსეთს კორეიაში ვაჭრობის უფლებაც მიეცემა. მანჯურიის თაობაზე ცალკე შეთანხმება დაიწერება. ჯერჯერობით იაპონია ჯარების გაყვანას აღარ მოითხოვსო.

გერმანულ გაზ. „ბერლინერ ტაგებლატ“-ს შეუტყვია, ჩინეთიც რუსეთთან მორიგებას აპირებს მანჯურიის თაობზეო. ეტყობა, ჩინეთი რუსეთის ყველა მოთხოვნილებას შეასრულებს, რუსეთი კიდევ უმთავრეს ქალაქებიდან ჯარს გაიყვანს და აღიარებს, რომ ჩინეთს უმაღლესი უფლება აქვს მანჯურიაში.

ტიბეტის საქმე

ჩინურ გაზ. „ჩჟუნ-ვაი-ჟი-ბაო“-ს ამბავი მოჰსვლია, ტიბეტში ორი ინგლისელი რაზმი შევიდა. ერთ რაზმს 1,000 ჯარის-კაცი და 400 მუშა ჰყავს და 4 ზარბაზანი აქვს, მეორე რაზმს 500 ჯარის-კაცი და 200 მუშა ჰყავს და 2 ზარბაზანი აქვსო. ეს ზარბაზნები კამბოჯანგში დადგნენ. ინგლისელებს ტიბეტელებთან რამდენიმე შეტაკება მოუვიდათო.

იგივე გაზეთი იუწყება, ინგლისელი დიდი რაზმი სამხრეთ ტიბეტში შევიდა და რამდენიმე ადგილი დაიჭირაო.

ბებელის სიტყვა

„სავაჭრო-სატელეგრაფო სააგენტოს“ დეპეშით ატყობინებენ ბერლინიდან:

„27 ნოემბერი. ახალ რეიხსტაგში სოციალ-დემოკრატების მეთაურმა ავგუსტ ბებელმა სიტყვა წარმოსთქვა. ორატორმა თავდაპირველად მილიტარიზმის წინააღმდეგ ილაპარაკა. ბებელმა სთქვა: მთავრობა მუდამ ახალ-ახალ ზარბაზნებსა და იარაღს ჰყიდულობს არტილერიისათვისაო. მართალია წელს მთავრობას ამ საქმისათვის ფული არ მოუთხოვია, მაგრამ მერმისს უსათუოდ მოითხოვს, რადგან ეხლანდელი ზარბაზნები დაძველდა და ქვეითა ჯარისთვისაც ახალ თოფების შეძენას აპირებენო. ამის შემდეგ ბებელმა სეფე-სიტყვაზე ილაპარაკა. ამ სიტყვაში არაფერი არაა ნათქვამი სავაჭრო ხელშეკრულობაზე და მხოლოდ ზრდილობის გულისათვისაა მოკლედ მოხსენებული, რომ სახელმწიფოებთან სავაჭრო ხელ-შეკრულობაზე მოლაპარაკება დავიწყეთო. წინად მთავრობა არწმუნებდა აგრარიებს, ახალი სატამოჟნო ტარიფი სავაჭრო ხელ-შეკრულობის დადებას ხელს არ შეუშლისო, ნამდვილად კი ეს საქმე დღეს მეტად გაძნელდა. იმ დროს, როცა რეიხსტაგმა ახალი სატამოჟნო ტარიფი მიიღო, აგრარიებს სავაჭრო ხელ-შეკრულობის დადება მეტად ეადვილებოდათ, დღეს კი ამას ვეღარავინ ვერ იტყვის. აგრარიულმა პოლიტიკამ დიდი ზარალი მოუტანა გერმანიას. ბებელმა „ნოვოე ვრემიის“ წერილი გაიხსენა და დაუმატა, რუსეთთან ახალ სავაჭრო ხელშეკრულობის დადება მეტად გასჭირდებაო. ჩემბერლენის აგიტაცია და პროტექციონისტული მოძრაობა ინგლისში გერმანიის სატამოჟნო ტარიფის შედეგია. ჩემბერლენის აგიტაცია უეჭველად გაიმარჯვებს და გერმანია ამის წყალობით თავის უდიდეს ბაზარს დაჰკარგავსო.

ბებელს იმპერიის კანცლერმა უპასუხა. გრაფ ბიულოვმა შეჰნიშნა, სამხედრო საქმეების თაობაზე ბებელს სამხედრო მინისტრი უპასუხებს დაწვრილებითაო, მე-კი მხოლოდ იმას გეტყვით, რომ სამხედრო საქმეში ყოველ წვრილმან საქმეს დიდი მნიშვნელობა აქვსო. ამ საქმეში გამოცდილებით უნდა ვიხელმძღვანელოთ და არა ფანტასტიურ მოსაზრებით. ბებელი ამბობს, ალლუქის დროს ცხენოსან ჯარის იერიშებს არაფერი მნიშვნელობა არა აქვსო. ეს შემცდარი აზრია: მომავალში ომის დროს ცხენოსანი ჯარი დიდ როლს ითამაშებს. მთავრობამ სასტიკი ღონისძიება მიიღო, რომ ჯარის-კაცებს ცუდად არ ექცეოდნენ. მართალია ბილცეს პროცესის დროს აღმოჩნდა, რომ ზოგიერთი ოფიცერი უწესოდ იქცეოდა თურმე. მაგრამ ეს იშვიათი შემთხვევაა, საზოგადოდ-კი გერმანიის ოფიცრები რიგზე იქცევიან. ამის შემდეგ იმპერიის კანცლერმა შეჰნიშნა, ბებელი გერმანიის მსოფლიო პოლიტიკის წინააღმდეგია, ამავე დროს-კი თხოულობს, რომ გერმანია მანჯურიის საქმეში ჩაერიოსო. გერმანია თავ-დაჭერილ, ფრთხილ პოლიტიკას მისდევს და, რამდენადაც-კი შეიძლება, ცდილობს, რომ საერთაშორისო ომი არ მოხდეს. თუ საზღვარ-გარედ ჰგონიათ, რომ ბებელს გერმანიის პოლიტიკაზე რაიმე გავლენა აქვს, იმის (ბებელის) სიტყვა ძლიერ ხელს შეუშლის სავაჭრო ხელშეკრულობის დადებას. ყოველ შემთხვევაში ბებელის სიტყვა დიდ გაჭირვებაში ჩაადგენს გერმანიის რწმუნებულებს. ბოლოს იმპერიის კანცლერმა დრეზდენში მომხდარ სოციალ-დემოკრატების კრებაზე ილაპარაკა. გრაფ ბიულოვმა მოსთხოვა ბებელს, თქვენი მომავალ სახელმწიფოს იდეალი დაწვრილებით აგვიწერეთო. მთავრობა ყოველთვის დიდის ხალისით შეასრულებს სოციალურ რეფორმებს, მაგრამ ამ საქმეშიაც სოციალ-დემოკრატია გვიშლის ხელსა, რადგან სოციალ-დემოკრატია ერთსა და იმავე დროს სოციალ-რეფორმებსაც თხოულობს და მონარქიასაც ებრძვის, როდესაც ნამდვილად არც ერთ რესპუბლიკის მთავრობას იმდენი საქმე არ გაურიგებია მუშებისათვის, რამდენიც მონარქიულმა გერმანიამ გაარიგა.

მეტად საინტერესოა გავიგოთ, გერმანიის მმართველობა რომ სოციალ-დემოკრატიის ხელში იყოს, რანაირად მოექცეოდნენ რუსეთს. სოციალ დემოკრატები სახელმწიფო ინტერესით კი არა, მარტო თავიანთ თანაგრძნობით ხელმძღვანელობენ და ყველა საქმეში ერევიან. ამიტომ ამათ მთავრობას ეხლანდელზე უფრო მრავალის და დიდის ჯარის შენახვა დასჭირდებოდა. ნუ თუ თქვენ ნამდვილად გგონიათ, რომ თქვენის ნაქების მილიცით 120 მილიონით დასახლებულ მძლავრ რუსეთს საკადრის პასუხს გასცემდით?

ახალი ამბავი

◆ „კავკ.“-ში დაბეჭდილია **სავალდებულო დადგენილებანი ქალაქ ბათუმისათვის.** დადგენილებანი შეეხება იარაღის ხმარებას. როგორც ვუწყით, ამას წინად აღკრძალეს ბათუმში იარაღის ტარება. ახალ დადგენილებაში ნათქვამია, რომ ყველა ვალდებულია ეს დადგენილებანი შეასრულოს, ვინც არ შეასრულებს, იმას ადმინისტრატიულის წესით ან 500 მანეთს ჯარიმას გადაახდევინებენ, ან 3 თვით დააპატიმრებენ.

◆ 8 დეკემბრისთვის პეტერბურგში დანიშნულია რკინის გზის **იურისკონსულტთა კრება.** ამიერ-კავკასიის რკინის გზაც ჰგზავნის თავის წარმომადგენელს.

◆ **ფუნიკულერის მოლოდინში** მამადავითის მთაზე ბევრი შეუდგა სახლების აგებას. ამის გამო გუბერნატორმა განკარგულება მოახდინა, სახლის ამშენებლებმა თავიანთ სახლების გეგმები საგუბერნიო საამშენებლო გამგეობას წარუდგინონ ხოლმე.

◆ დღეს, 4 დეკემბერს, საღამოს 8 საათზე, დანიშნულია კრება კავკასიის **სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების** წევრებისა. განსახილველია აგრონომის ა. მ. დემენტიევის მოხსენება მცენარის საზრდოებისა და იმის მავნე მტერებთან ბრძოლის შესახებ.

◆ როგორც უკვე გვქონდა აღნიშნული, ტფილისის ქალაქის გამგეობას განზრახვა აქვს, მადათოვის კუნძულის გვერდით **მტკვრის მარჯვენა ტოტი** მიწით ამოავსოს და ზედ ბაღი გააშენოს. ქალაქის გამგეობამ მიანდო ინჟენერს კოგნოვიცკის, გამოიანგარიშოს თუ რა დაუჯდება ქალაქს ამ განზრახვისასრულება. კოგნოვიცკიმ გუშინ, 3 დეკემბერს, წარუდგინა გამგეობას ხარჯთ-აღრიცხვა. იმის ანგარიშით, მტკვრის ტოტის ამოსავსებად სულ 150,000 მანეთი იქნება საჭირო; ხოლო თუ ვანქის ეკკლესიასთან პაპკოვის ადგილის შეძენა დასჭირდება ქალაქს, მაშინ სულ ამ საქმეზე დაეხარჯება 200,000 მანეთი. მიწა იქნება საჭირო 24,000 კუბიკური საჟენი; რადგანაც შორიდან მიწის მოტანა ქალაქს ძალიან ძვირად დაუჯდება, ინჟ. კოგნოვიცკი ურჩევს გამგეობას, სახლების შენების დროს მოთხრილი მიწა იყრებოდეს ამ ადგილზე.

◆ კავკასიის სამკურნალო საზოგადოებამ ნება მიიღო სახალხო კითხვების კომისიისაგან და სიფხიზლის საზოგადოების კომიტეტისაგან გამართოს ხოლმე სახალხო აუდიტორიებში **სახალხო ლექციები** ჰიგიენის შესახებ. 2 დეკემბერს სამკურნალო საზოგადოების წევრთა კრებამ მოისმინა ამის შესახებ გამგეობის მოხსენება და დაადგინა, დაავალოს გამგეობას გამოითხოვოს მთავრობისაგან ნებართვა, რომ სამკურნალო საზოგადოებას აღნიშნულ ადგილში ლექციების გამართვა შეეძლოს ხოლმე.

◆ ხმოსანმა ქანანოვმა ამას წინად წინადადება შეიტანა ტფილისის ქალაქის გამგეობაში ქალაქ ტფილისის საშუალებით გაიმართოს ტფილისში შეუძლებელ მცხოვრებთათვის **სამშობიარო სახლი.** ამ საკითხს ხვალ, 5 დეკემბერს, განიხილავს საბჭოს კომისია, რომელსაც მინდობილი აქვს ქალაქის მცხოვრებთა ჯანმრთელობაზე ზრუნვა.

◆ როგორც გვატყობინებენ, წელს ოდესის უნივერსიტეტში 1875 სტუდენტთაგან ქართველი 116-ა.

◆ ტფ. ქალაქის გამგეობამ დაადგინა გაადიდოს საბჭოს კანცელარიის მოხელეთა შტატი ორის გადამწერით. თითოეულ გადამწერს მიეცემა თვეში 30 მან.

◆ მივიღეთ ახალი ქართული წიგნაკი „ახალი სიმღერები და ვოდევილის რანუნი“, თქმული მნაცაკან წითლაურიშვილისაგან, გამოცემული ალ. მახარათოვის მიერ. გვ. 32. ფასი—15 კაპ.

◆ მივიღეთ ახალი ქართული წიგნაკი: „ლონდონის მაწანწალები“ ვ. მჭედლიშვილისა, გამო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცემა ზ. ჭიჭინაძისა, გადმობეჭდილია 1878 წლის „დროებიდან“. გვ. 24. ფასი—ერთი შაური.

◆ ამიერ-კავკასიის რკინის გზის გამგეობას განუზრახავს ახალ სისტემის ფარნების შეძენა. ამის გამო გზის უფროსი შეეკითხა მთავარ-გამგეობას, შეგვიძლიან თუ არა შევიძინოთ რუსეთში დამზადებული სხვა-და-სხვა რიცხვის ფარნები, თუ მოვალენი ვართ მარტო გალკინის სისტემის ფარნები ვიქონიოთო.

◆ პირველ იანვრიდან ჭალადიდსა და ახალ-სენაკს შუა იხსნება ნახევარ-სადგური ქვალონი.

◆ ტფილისის ქალაქის გამგეობას პირობები ჰქონია დადებული ინჟინერ რობისთან, იაგორ მამინაშვილთანა და ენიკოლოპოვთან ზოგიერთ საიჯარო საქმის შესრულების შესახებ. თუ ეს პირნი პირობას დაარღვევდნენ, მაშინ მათგან შეტანილი ბე ქალაქის საკუთრებად უნდა დარჩენილიყო. რადგანაც მათ პირობა დაურღვევიათ, ამის გამო ქალაქის გამგეობამ რობის მხრით 5,800 მან., ენიკოლოპოვის 5.000 მ. და ი. მამინაშვილის მხრით 8216 მან. ქალაქის კასაში ჩარიცხა.

◆ ქალაქის ქუჩებზე მაწანწალა ძაღლების გამწყვეტელმა მოიჯარადრემ გუშინ შეატყობინა ქალაქის გამგეობას, რომ ძაღლების ჭერას 4 დეკემბრიდან შეუდგება ამ რიგად: პოლიციის 1 ნაწილში 4 და 5 დეკემბერს, მესამე ნაწილში 8 და 9 დეკემბერს, მე-4 ნაწილში 10 და 11 დეკემბერს, ხოლო პოლიციის მე-5 ნაწილში 12, 13 და 14 დეკემბერს.

◆ პოლიციის მე-5 ნაწილში, აბას-აბათის მოედანზე, პოლიციელებს შეუმჩნევიათ გორის მაზრის მცხოვრები ოქრუაშვილი, რომელსაც სადღაც ხალიჩა მოეპარა და მიჰქონდა. როგორც აღმოჩნდა, ოქრუაშვილს ხალიჩა მოუპარავს ველიამინოვის ქუჩაზე ვართანოვის სახლიდან.

◆ პუშკინის ქუჩაზე, გნუნის ფოტოგრაფიაში უცაბედად გადმოვარდნილა ლამპა, იატაკზე გამსკდარა და ნავთი დაღვრილა; მაშინვე ცეცხლი გაჩენია იატაკს. ცეცხლის გაჩენა მალე შეუტყვიათ და ჩაუქვრიათ. ზარალი სულ 50 მანეთამდე თუ იქნება.

—

დღევანდელ №-თან ერთად ხელის მომწერთ ეგზავნებათ **სურათებიან დამატების** № 173, რომელშიაც მოთავსებულია: „მსხნელი“, თარგმანი ოლბეჟისა; „სამუდამო ლეგენდა“ ვ. დ—ისა, თარგმანი დ. პავლიაშვილისა; სურათები: „ზამთარი ტყეში“, სიევერტისა; „ღორების ბინა“. რიოტივისა და ორი კარიკატურა.

ტფილისის ქალაქის საბჭო

2 დეკემბერი

სამშაბათს საბჭომ განაგრძო ხარჯების განხილვა. ხარჯთ-აღრიცხვის მე-VIII მუხლის პირველი სტატია შეეხება მდინარე მტკვრის ნაპირების გამაგრებას ავჭალაში წყალისაყვანის დასაცავად წყალდიდობის დროს. გამგეობას ამ საჭიროებისათვის უანგარიშნია მომავალ წლისთვის 22.800 მანეთი, საფინანსო კომისიას-კი ეს ხარჯები 13,500 მანეთით შეუმცირებია, რადგან მტკვრის ნაპირების გამაგრებას გაცილებით მეტი ფული დასჭირდება და, სანამ ამის შესახები დაწვრილებითი პროექტი არ იქმნება შედგენილი და საბჭოს მიერ მოწონებული, მანამდე ძნელია ამ საერთო ხარჯებიდან ნაწილი ვივარაუდოთო: საბჭომ დაადგინა: მტკვრის ნაპირების გასამაგრებლად მომავალ წლისათვისაც იმდენი გადაიდოს, რამდენიც დასახლოვებით ყოველ წელს ინიშნებოდა, ე. ი. 9,300 მანეთი და დაევალოს გამგეობას ამ სამუშაოს პროექტი დაჩქარებით შეადგინოს და განსახილველად წარმოადგინოს.

სახლებში მილების გასაყვანად ნაანგარიშევია და საბჭომაც მიიღო 26.265 მანეთი.

საყასბოს შესანახი—ბეითლებისა და ფერშლების ჯამაგირები, მუშები, დარაჯები, ღორის ხორცის გამოკვლევა, საზოგადო ხორცების გასინჯვა და დაბეჭდვა, საყასბოზე წყალისაყვანის შენახვა და სხვა—სულ 20.550 მანეთი ჰქონდა გამგეობას ნავარაუდევი და საბჭომაც ეს ხარჯები მიიღო.

საყასბოს რემონტისათვის 2450 მან. მიიღო საბჭომ 4853 მანეთის მაგიერ, რომელსაც გამგეობა თხოულობდა.

ბაკების შესანახი ხარჯები გამგეობას უანგარიშნია და საბჭომაც მიიღო 5.952 მანეთი. რემონტი ბაკებისა 1.984 მან.

ხორცის დუქნების შესანახი ხარჯები საბჭომ მიიღო 35 ათასი მანეთი. ამასთანავე საბჭომ 300 თუმანი დაჰნიშნა იმ საქონლის საფასურის მისაცემად, რომელსაც დაკვლის შემდეგ უვარგისად იცნობს ბეითალი.

მე-IX მუხლი ხარჯებისა ხალხის განათლების საქმეს შეეხება. როცა ამ საგანზე ბაასი ჩამოვარდა, ხმ. ა. მ. არღუთინსკი-დოლგორუკოვმა ერთი გარემოება აღნიშნა: როგორც აღმოჩნდა, წელს ქალაქის სკოლებმა 700-მდე ბავშვს უარი უთხრეს სასწავლებელში მიღებაზე. სამწუხაროა ეს ამბავი და ახალის სკოლების გამართვა უსახსრობის გამო თუ გვეძნელება, იმას მაინც უნდა შევეცადნეთ, რომ არსებულ სკოლებში პირველ კლასებს მეორე განყოფილებები გავუხსნათ და ამ გზით მაინც შევამციროთ სკოლას გარეშე მყოფ ბავშვების რიცხვით. ხმოსანმა კიდევ აღნიშნა, სასიამოვნოდ უნდა მივიმჩნიოთ, რომ ტფილისი პეტერბურგის შემდეგ მეორე ქალაქად უნდა ჩაითვალოს სწავლა-განათლების საჭიროებაზე ხარჯების გაღების მხრით. თუმცა ეს მართალია, მაგრამ სკოლას გარეშეც ძალიან ბევრი ყმაწვილი გვრჩებაო.

სკოლათა გამგე კომისიის თავმჯდომარემ თავ. ვ. ს. მიქელაძემ განუმარტა საბჭოს: კომისია სწორედ იმის ზრუნვაშია, რომ ამ მხრივ გაჭირვებას რამე უღონოს. ამ საქმის შესახებ ცალკე მოხსენებას ვამზადებ, კომისიას მოვახსენებ და შემდეგ თვით საბჭოსაც მოხსენდებაო.

შემდეგ შეუდგნენ ხარჯების განსაზღვრას. ქალაქის ვაჟთა პირველდაწყებით 16 სკოლის მასწავლებელთა ჯამაგირებისათვის საბჭომ მიიღო 45.330 მანეთი; სახლების ქირა და სხვა ხარჯები ამ სკოლებისა—31.334 მანეთი. ავლაბარსა და ვერაზე ქალთა სკოლების მასწავლებელთათვის 5.680 მან.; სახლების ქირა და სხვა—3.962 მან.

სახელოსნო სასწავლებლის მასწავლებელთათვის 19.606 მანეთი, საჭმელ-სასმელი მოსწავლეთა და სხვა ხარჯები—12 455 მანეთი. ამ სასწავლებლის მოსწავლეთათვის სხვა-და-სხვა მასალების შესაძენად 8 ათასი მანეთი.

ქალთა საპროფესიონალო სახელოსნოს მასწავლებელთა ჯამაგირები 5.170 მან., მასალების შესაძენად 500 მანეთი, სახლის ქირა და სხვა ხარჯებიც—2.774 მანეთი.

სახელმწიფო სასწავლებელთათვის დასახმარებლად 6.342 მანეთი, ამ რიცხვში: ქალთა 1-ლ გიმნაზიას 1500 მან., ქალთა მე-2 გიმნაზიას 1500 მან., წმ. ნინოს სასწავლებელს 442 მან., საბებიო ინსტიტუტს—600 მანეთი, სამხატვრო სასწავლებელს 2 ათასი მან. და კავკასიაში მშვენიერ ხელოვნებათა გამავრცელებელ საზოგადოებას—300 მანეთი.

კერძო საზოგადოებათა და კაცთა სკოლების დასახმარებლად გამგეობა თხოულობდა 2.124 მანეთს, საბჭომ მიიღო 3.224 მანეთი.

ქალაქის სკოლათა მასწავლებელთათვის შესაწევნად და საჩუქრებად გამგეობა თხოულობდა 100 თუმანს, საბჭომ-კი, კომისიის თავმჯდომარის თავ. ვ. მიქელაძის თხოვნით, 150 თუმანი მიიღო.

უმაღლესსა და საშუალო სასწავლებელში მოსწავლეთა დასახმარებლად საბჭომ გადასდო 2.950 მანეთი.

ავლაბარში ქალაქის სკოლისათვის სახლის ასაშენებლად 10 ათასი მანეთი გადასდო საბჭომ, სახელოსნო სასწავლებლის რემონტისათვის 1.651 მან., ჩუღურეთის სკოლის რემონტისათვის 258 მან., სულ 11.908 მან.

შემდეგი კრება, როგორც გამოცხადებული იყო, მეორე დღისათვის დაინიშნა.

კავკასიის სამკურნალო საზოგადოების კრება

2 დეკემბერს ექიმის ანანოვის თავმჯდომარეობით მოხდა კრება სამკურნალო საზოგადოებისა. თავმჯდომარემ აუწყა კრებას, რომ საზოგადოების მიერ ერჩეულმა კომისიამ შეიმუშავა მოხსენება ტფილისის სამკურნალო-სასანიტარო ნაწილის რეორგანიზაციის შესახებ. თავმჯდომარემ საჭიროდ სცნო ამ საკითხის საზოგადოების მიერ განხილვამდე, მოხსენება დაიბეჭდოს და დაურიგდეს საზოგადოების წევრთა და ქალაქის საბჭოს ხმოსნებს. კრებამ მიიღო წინადადება თავმჯდომარისა. შემდეგ ექიმმა ა. ნ. ბაბაევმა წაიკითხა მოხსენება აბასთუმნის პირველ კლასის კურორტად გადაკეთების შესახებ. აბასთუმანი, როგორც ყველას მოეხსენება, საუცხოვოა მდებარეობით, მშვენიერის ჰავით, ბუნებით, აბანოებით. სამწუხაროდ, აბასთუმანი დღემდე არ არის ისე მოწყობილი, როგორც ასეთ ადგილს შეეფერება. აბასთუმანი უფრო ცუდს მდგომარეობაშია მას შემდეგ, რაც მისი მართვა-გამგეობა სამხედრო მთავრობას მიენდო. დღეს აბასთუმანში უმცროს ჯარისკაცთა შესანახად იხარჯება 20,000 მანეთზე მეტი და მოუწყობლობისა და სიბინძურისა გამო ისე ნაკლებ ეტანება ხალხი აბასთუმანს, რომ წლიური შემოსავალი 9,000 მანეთს არ აღემატება. აბასთუმანი რომ საუკეთესო კურორტად გადავაქციოთ, საჭიროა სამკურნალო აბანოები გადაკეთდეს სრულიად ახალს გეგმაზე. გაყვანილ უნდა იქმნას რკინის გზა ჯერ-ჯერობით ბორჯომიდან ახალციხემდე მაინც. ამ ჟამად აბასთუმანში 120 სახლი იქმნება, სადაც 3000 სული დაეტევა. ამიტომ საჭიროა მეტის სახლებისა და სასტუმროებ[illegible], რომ ზაფხულობით სახლის ქირა გაიაფდეს და შეუძლებელთაც მიეცეთ საშუალება სამკურნალო წყლებით ექიმობისა. უნდა გაკეთდეს აბასთუმანში ცხენის ან ელექტრონის რკინის გზა, არხები, წყლის მილი, ელექტრონის განათება, გზები, სასეირნოები და სხვა. მეტის წესიერებისათვის საჭიროა შემოღებულ იქმნას აბასთუმანში საკურორტო გამგეობა, რომელსაც უნდა შეადგენდნენ წარმომადგენელნი ადგილობრივ მცხოვრებლებისა. ზაფხულობით აბასთუმანში იმდენი ხალხი მაინც მოდის, რომ შემოსავალი აქვს 6,000 მან. ჩემის აზრით, გარეშე ხალხსაც უნდა ჰქონდეს უფლება მონაწილეობა მიიღოს აბასთუმნის გამგეობის საზოგადო არჩევნებში. პროექტი აბასთუმანში საკურორტო თვითმმართველობის შემოღებისა კარგა ხანია შემუშავებულია, მაგრამ დღევანდლამდე იგი ტფილისის გუბერნატორის კანცელარიაშია უძრავად, რადგანაც შეუძლებელი შეიქმნა მისი განხორციელება, რაკი აბასთუმანი სამხედრო მთავრობას გადაეცა. დღევანდელი შემოსავალი აბასთუმანისა რამდენსამე პოლიციელს ძლივსა ჰყოფნის. როდესაც გადაკეთდება და რიგიანად მოეწყობა, მილიონობით ექმნება შემოსავალი და ამით ისარგებლებს მთელი ჩვენი კუთხე. ახალციხემდე რკინის გზის გაყვანას ერთ მილიონ მანეთზე მეტი არ დასჭირდება, რასაც ხაზინა რამდენისამე ხნის განმავლობაში უკანვე დაიბრუნებსო.

ეს მოხსენება განსახილველად წარედგინა ამ ზაფხულს პიატიგორსკში ბალნეოლოგთა მეორე კრებას, რომელსაც მოუწონებია იგი და დაუდგენია: რადგან აბასთუმანი ღირსია ყურადღებისა, აღიძრას შუამდგომლობა უმაღლეს მთავრობის წინაშე ეს ქალაქი გადაეცეს სამოქალაქო მთავრობას და გადაიდოს ფული აბასთუმნის გასამშვენიერებლად და გადასაკეთებლად. სამკურნალო საზოგადოება მიემხრო პიატიგორსკის კრების დადგენილებას. კრებამ ამავე სხდომაზე განიხილა ანგარიში ექიმის ტ. ვ. ხარაზოვისა. ანგარიში შეეხებოდა იმას, რომ ამ ზაფხულს ამიერ-კავკასიის რკინის გზის ევლახის სადგურზე რამდენიმე კაცი გამხდარა მალიარიით ავად. მალიარიით უფრო ავად ხდებოდნენ ქართველები და რუსები.

რუსეთის ქრონიკა

◆ საერო განათლების მინისტრის თავმჯდომარეობით გამართულ კრებას, რომელშიაც მონაწილეობას იღებდნენ სხვა-და-სხვა უწყებათა წარმომადგენელნი, გამოუთქვამს სურვილი, რომ მომავალ საერთაშორისო გამოფენაზე სან-ლუიში სამეცნიერო-საპედაგოგიო განყოფილებაში რუსეთმაც მონაწილეობა მიიღოსო.

◆ როგორც ფინლიანდიის გაზეთები იუწყებიან, ქ. ტამერფორსში, რომელიც ფინლიანდიაში უდიდეს სამრეწველო ცენტრად ითვლება, ამ ჟამად დიდძალი მუშა ხალხი უსაქმოდ ყოფილა დარჩენილი.

◆ „ნოვოე ვრემია“-ს დეპეშით ატყობინებენ: ლოძის რაიონის ფაბრიკანტებს გადაუწყვეტიათ, დააარსონ უბედურ შემთხვევისაგან ურთიერთ დამზღვევი საზოგადოება მუშებისათვის.

◆ შინაგან საქმეთა სამინისტრომ ხელახლად აცნობა გუბერნატორებსა და გრადონაჩალნიკებს, რომ აკრძალულია როგორც ქალაქებსა, ისე სოფლებში ბაზრისა და იარმუკის მოედნებით სარგებლობისათვის

ფელეტონი

ბავშვის მოვლა

(პედაგოგიური წერილები ქართველ დედასთან)

წერილი 7.

„კბილების ამოჭრა“! რა საშინელი სიტყვაა ეს სიტყვა დედებისათვის, რა გულის ფანცქალით მოელიან ხოლმე ესენი ამ დროს! ბევრი მათგანი ცხოვრების რიგსა და წესსაც კი იცვლის ხოლმე, რომ მას არაფერი ზიანი არ მიაყენონ, ზოგი სოფელშიაც კი აღარ მიდის ზაფხულობით, რომ თავისი საყვარელი შვილები ამ დროს უექიმოდ არ დარჩნენ.

რაც უნდა მოხდეს ექვსი თვიდან დაწყებული ორ წლამდის, ყველაფერს კბილის ამოჭრას აბრალებენ: შეაციებს ბავშვს—„ეს კბილის ციება არისო“, დაახველებს—„ეს ხომ კბილის ხველაა, ფაღარათობა ხომ უტყუარი ნიშანია კბილის ამოჭრისაო“. ერთი სიტყვით, არ არის ისეთი ავადმყოფობა, რომ კბილის ამოჭრას არ დააბრალონ. კაცი ამასაც შეურიგდებოდა, რომ ყველაფერი უკიდურესობამდინ არ მიჰყავდეთ, არ აღნობდნენ ამ საცოდავ არსებას, თავისი ცრუ-შეხედულობის მსხვერპლად არა ჰხდიდნენ. აქ უბედურება ის არის, რომ მშობლები თვით ექიმებისაგან არიან ჩაგონებულები, რომ კბილის ამოჭრის დროს ბავშვს წამალი არ მიუდგება და, მაშასადამე, მის წამლობაზედ ფიქრი ამაოთა ამაოება იქნებაო, „ამოიჭრება კბილი და ყველაფერი თავის თავად გაივლისო. ასე რომ ხანგრძლივი ფაღარათობა, ეს დამასუსტებელი და საშინელი მტერი ბავშვისა, უმეტეს შემთხვევაში ხდება ხოლმე უყურადღებოდ და თან, პირიქით, უხარიანთ კიდეც ხოლმე ჩვენი შვილები ეხლა უზრუნველყოფილები არიან თავში სისხლის მოწოლისაგანაო. და რამდენი ბავშვი გამხდარა მსხვერპლად მშობლების ამ გვარ ცდომილებისა *). ამ სიტყვებით იწყებს ბ-ნი ჟუკი თავის სტატიას კბილის ამოჭრის შესახებ და გულმოდგინეთ რომ ჩაუკვირდეთ ამ სიტყვებს, მოწყალეო ხელმწიფევ, სამართლიანადაც მიიჩნევთ თქვენ ამ სტრიქონებს. მართლაცა და ისე არსადა სტყუვდება მშობელი, როგორც ამ შემთხვევაში; ბავშვის ცხოვრებაში ისე არაფერია გაზვიადებული და გაბერილი, როგორც ეს ხანა ბავშვის ცხოვრებისა. და საიდან წარმოსდგება ყველა ეს? რისთვისა ვტოვებთ ბავშს უყურადღებოდ და უზრუნველათ მაშინ, როდესაც იგი უფრო მომეტებულად საჭიროებს, რომ მოუარონ და იზრუნონ მასზედ. „სამწუხაროდ, ყველა ამაზე უმეტესად თვით ექიმები არიან დამნაშავენიო, ბრძანებს იგივე ჟუკი და ამ აზრის დასასაბუთებლად მოჰყავს ამერიკელ პროფესორის იაკობის სიტყვები, საიდანაცა სჩანს, რომ 1857 წ. ექიმების გამოანგარიშებით მარტო ინგლისში 3992 შემთხვევა ყოფილა ბავშვების სიკვდილისა კბილებისაგან და 74 შემთხვევა უეჭველად კბილებით მომკვდარა! ეს ციფრები ბევრს რასმე გვეუბნებიან და, სხვათა შორის, იმასაც, რომ ექიმები ზედაპირად არიან გაცნობილები ბავშვის ავადმყოფობასთანაო“ **).

თქვენ კი ნურაფრისა შეგეშინდებათ, ბატონო ჩემო! მხოლოდ ამასა გთხოვ, ღრმად ჩაუკვირდით თქვენ პაწაწინას უმანკო სულსა, გაანათლეთ და გაათბეთ იგი თქვენი დედობრივი სიყვარულით, საყნოსველად გადუშალეთ თქვენი ვარდიანი გული, ანუგეშეთ იგი, დაუყვავეთ, უალერსეთ, ამყოფეთ იგი ნამდვილ ჰიგიენურ პირობებში და გარწმუნებთ—თქვენს ემიკოს ისე ამოეჭრება „კიჭები“, რომ ვერაფერს ვერც თქვენ გაიგებთ და ვერც თქვენი ბედნიერება. გარწმუნებთ, რომ ეს ბუნებითი მოვლენა სალი ბავშვებისათვის ადვილათაც იწყება და ადვილათაცა თავდება ხოლმე; ამ შემთხვევით უმეტესად იტანჯებიან და წუხდებიან ის ქორფა ბავშვები, რომლის აღზრდასა და კვებაზედ არ იყო პირველადვე მიქცეული ყურადღება, მის აღზრდაში არ იყო დაცული ჰიგიენური პირობანი. უეჭველია ისიც გეცოდინებათ, რომ ყველა ბავშვს ერთსა იმავე დროს არ ეწყება ამოჭრა კბილისა: ზოგიერთია რომ 7 და 8 თვისას ამოსდის ხოლმე კბილი, ხანდახან მეათე და მეთერთმეტე თვეზედაც მოხდება ხოლმე, ხან ამაზე გვიანაც; არის შემთხვევა, როდესაც ამ ვადაზე უფრო ადრეც ამოიჭრება კბილი. ყოფილა ისეთი შემთხვევაც, თუმცა ძალიან იშვიათად, როდესაც ბავშვი კბილიანი დაბადებულა. **ნიშნები კბილის ამოჭრისა**: ამ დროს შენიშნულია ანთება ღრძილების ლორწოიანი გარსისა, პირისახისა და ზოგიერთა შინაგან ორგანოებისა. ბავშვი მოუსვენრობს, იღრიბლება, ხამუშ-ხამუშ გაჰკივის კიდეც: ხანდახან თვალებიც უწითლდება, სურდო ემართება, ლოყები უწითლდება; ძილში შეკრთება ხოლმე, მოუსვენრად არის, ღრძილები სტკივა და ექავება; ყველაფერს პირისკენ მიიტაცებს და ჰღეჭავს: ღრძილებზე ხელის გადასმა იამება და შვებას აძლევს. ამას უმეტეს შემთხვევაში ფაღარათობა მოსდევს, რომლის დროსაც არაფერი საშუალება არ უნდა იხმაროთ უექიმოდ, რადგანაც შეიძლება, რომ სხვა მიზეზითაც იყვეს გამოწვეული ეს ფაღარათობა. ეს არის პირველი ხანა კბილების ამოჭრისა; ბავშვი მალე მშვიდდება.

შემდეგ ამისა იწყება მეორე ხანა კბილების ამოჭრისა: ამ დროს ბავშვს ვერ გაუბედნია პირში რაიმის ჩადება; ჰყივის ლეჭვის დროს; ღრძილებიცა და პირის სხვა ლორწოიანი გარსებიც ჰხურს: ღრძილებზე მოსჩანან ძალიან მგრძნობიარე ბორცვები; ფერს მალი-მალ იცვლის, ჟინჟღლიანობს, არ ესიამოვნება, როდესაც იგი ვინმე უჭირავს, მა-

---

*) იხ. დედა და შვილი თხ. ჟუკისა.

**) იხ. დედა და შვილი ჟუკისა.

ივერიელი

გადასახადი გამოართვან სოფლის მცხოვრებთ, რომელთაც გასაყიდათ მოურეკიათ ოთხფეხი საქონელი, ან რაიმე სასოფლო-სამეურნეო ნაწარმოები გამოაქვთ.

◆ შემაძრწუნებელი ამბავი მომხდარა მოსკოვში. გლეხის ქალიშვილს სოლოდენკოვას თავის ახლად დაბადებულ ბავშვისათვის იოდი ჩაუსხამს პირში და მოუკლავს. შემდეგ გვამი წაუღია ს. ტროიცკიში, გაუთხრია თავისი დედის სასაფლაო და ბავშის გვამი შიგ დაუმარხავს. საქმე გამოაშკარავებულა. სოლოდენკოვას უთქვამს: არ შემეძლო სხვაგვარად მოვქცეულიყავ; „ხაზეინებს“, რომელთანაც მე ვმსახურობდი, არ სურდათ, რომ მე ბავშვით მემსახურნა მათთანო („ნოვოსტი“).

◆ როგორც კიევის გაზეთები იუწყებიან, კიევის უნივერსიტეტში 24 ნოემბერს გამოკიდული ყოფილა რექტორ ნ. ვ. ბობრიცკის მიერ ხელმოწერილი განცხადება: „საჭიროდ ვსთვლი გავაფრთხილო სტუდენტები, რომ უმაღლეს მთავრობის განკარგულებით უნივერსიტეტში უწესოებათა მოსასპობად მიღებულ იქნება ენერგიული ზომები და, თუ ვინიცობაა ყრილობა გაიმართა, ყველა, ვინც კი ამ ყრილობას დაესწრება, რა მიზნითაც უნდა დაესწრას, აღიარებულ იქნება ყრილობის მონაწილედ და მიეცემა სასტიკ პასუხის გებაში. სრულიად დარწმუნებული ვარ, რომ უმეტესობა სტუდენტებისა წესიერების მომხრეა და სურს განაგრძოს მეცადინეობა; მავმართავ მათ კეთილგონიერებას და ვსთხოვ, არამც და არამც არ დარჩნენ იმ შენობაში, სადაც ყრილობა იქნება გამართული, თუ ჰსურთ, რომ წესიერების დამარღვევლად არ იქმნან აღიარებულნი“. უნივერსიტეტის კედლებზე ჩრდილოეთის მხრივ გაკრული ყოფილა იმავე რექტორის ხელმოწერილი განცხადება, რომელშიაც ნათქვამია, რომ მსურველთ შეუძლიანთ უნივერსიტეტში შესვლა სამხრეთის მხრივ ეზოდან, ამასთანავე სტუდენტები ვალდებულნი არიან თან ატარონ ბილეთი, რომელსაც მოთხოვნილებისათანავე უნდა აჩვენებდნენ უნივერსიტეტის მმართველობის მოხელეთ.

პრესსა

„ბაკინსკ. იხვ.“-ში დაბეჭდილია შემდეგი კორესპონდენცია ქუთაისიდან:

> ქუთაისის თავად-აზნაურთა და მოქალაქეთა ახალგაზდებს შორის, რომელნიც უმაღლეს სასწავლებლებში არიან, ბოლოს დროს ფესვი გაიდგა უცნაურმა ჩვეულებამ: თავიანთ თავს ჰყიდიან თავიანთ საცოლეთა მამებს. გასათხოვარ ქალების მამები (გამდიდრებული მეყასპეები, მედუქნეები და სხვანი) მაჭანკალთა შემწეობით ავრცელებენ ხმას მოსწავლე ახალგაზდათა შორის, რამდენ მზითევს უმზადებენ თავიანთ სიძეებს, და ძლიერ სწრაფად ჰპოულობენ კიდეც საქმროებს თავიანთ ქალებისათვის. რამდენად მეტია მზითევი, იმდენად სწრაფად იპოვება საქმროც. მრავალ მაგალითებიდან, რომელიც ჩვენ ვიცით, შეგვიძლია დავსკვნათ, რომ შუათანა აღრიცხვით ქუთათური დიპლომიანი საქმრო 3000 მანეთად ღირს.
>
> არ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ქუთათური ქალები იწუნებდნენ ასეთ სტუდენტებს. სწორედ ეს არის სამწუხარო, რომ მათ შორის არავინ არ სთვლის სასირცხოდ ასეთ აღებ-მიცემობას ცოლქმრობის საქმეში. უფრო ეშინიათ ბეს, ავანსის დაკარგვისა, ვიდრე რცხვენიათ თვით ამ საქმისა. ჩვენ არც გვაკვირვებს ეს ჩვეულება. ქართველს ქალს ჯერაც არ შეუგნია თავისი ადამიანური ღირსება, ის კიდევ იმყოფება ოჯახურსა და საზოგადოებრივ მონობის უღელ ქვეშ.

რასაკვირველია, კორესპონდენტი ორესტ სამინი მეტად აზვიადებს საქმეს: ჩვეულებად სახავს ორიოდე მაგალითს, თუმცა ახალგაზდობაში ასეთის „უცნაურის ჩვეულების“ ორიოდე მაგალითიც ცუდი და სამარცხვინოა.

⁂

ამას წინად ვწერდით ღვინის ფალსიფიკაციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ. სხვადასხვა გონივრულ და სასარგებლო პროექტებს გარდა, არის ისეთებიც, რომელნიც გაკვირვების მეტს ვერაფერს ვამოიწვევენ. ერთ ამგვარ პროექტზე გვიამბობს გრაფი ნ. სიმონიჩი „ბირჟ. ვედომ.“-ში. იმის სიტყვით, „მევენახეთა და მეღვინეთა მოსკოვის კომიტეტს“ შეუთხზავს პროექტი ღვინოზე ბაჟის დადებისა და ამ გზით ფალსიფიკაციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ. ამ უცნაურ პროექტის ამბავი ახალი არ არის და ჩვენს სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებაში კიდევაც იყო მასზე ლაპარაკი. ბ. სიმონიჩი სამართლიანად ამბობს, რომ

> ერთობ დიდი უაზრობა იქნება, ფალსიფიკაციასთან საბრძოლველად ბაჟი დავადოთ ნამდვილ ღვინოს, იმის მაგიერ, რომ გაფუჭებულ ღვინოს გავრცელება შევაფერხოთ და მოვსპოთ. მართლაც, თუ ჩავუკვირდებით ამ პროექტს, დავინახავთ, რომ მისი ერთად ერთი საგანია—რუსეთში ღვინის ვაჭრობის საქმე ხელში ჩაუგდოს რამდენსამე მდიდარ ფირმას. საქმე ის არის, რომ ღვინის ბოთლებზე ბანდეროლის გადაკვრა, სააქციზო უწყების მოვალეობა იქნება და ეს გარემოება უეჭველია შეზღუდავს კერძო პირთა უფლებას ბოთლებში ღვინის გადასხმისა. ამ უფლებით შეუძლია ისარგებლონ მხოლოდ იმ მდიდარ ფირმებმა, რომელთა შემოსავალი გაუძლებს სააქციზო უწყების ახალ ხარჯებს, თუ ღვინოზე ბაჟი მართლა იქმნა შემოღებული. ამ გზით ღვინის ვაჭრობის საქმე რუსეთში სამონოპოლიო გახდება და ისეთივე ცუდი შედეგი მოჰყვება, როგორიც მოჰყვა თამბაქოს, შაქრის და ზოგიერთ სხვა საქონლის ვაჭრობის საქმეს.

ლაპარაკი არ უნდა, რომ ღვინოზე ბაჟის დადება მეტად შეაფერხებს უმთავრესად წვრილ მეურნეთ, განსაკუთრებით ისეთ ქვეყნებში, სადაც მეღვინეობა ღღიურ საზრდოს აძლევს მცხოვრებთ. ამიტომაც ამ პროექტის წინააღმდეგი გახდა თითქმის ყველა სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებანი რუსეთში, პრესსა, ბევრი კერძო მემამულე და სხვანი.

თეატრი

ქართული წარმოდგენა. 2 დეკემბერს ქართულმა დასმა არტისტის კ. მესხის საბენეფისოდ წარმოადგინა მობენეფისისავე პიესა „რუსთაველი“. არტისტები კარგად მომზადებულიყვნენ. საზოგადოებას წარმოდგენა მოეწონა და ხანგრძლივის ტაშის ცემით დააჯილდოვა როგორც კ. მესხი, ისე სხვები. შოთა რუსთაველის როლი კარგად შეასრულა მობენეფისემ კ. მესხმა, ხოლო თამარისა— ნ. ჩხეიძემ. მობენეფისეს საჩუქრები მიართვეს. დრამის შემდეგ საზოგადოება ბევრი აცინეს „ბიძიასთან გამოხუმრება“-ში ქ-ნმა საფაროვ-აბაშიძემ და ბ-ნმა აბაშიძემ. ხალხი კარგა ბლომად დაესწრო.

სასამართლო

I

გაძარცვა

წარსულ კვირაში ტფ. ოლქის სასამართლოს სესიამ, გორში, განიხილა საქმე ამიერ-კავკასიის რკინის გზის სადგურ ვარვარინოს ტელეგრაფისტის კონსტანტინე ხიხაძისა, დაბა ცხინვალის მცხოვრებ ივ. გიორგაძისა და ლეჩხუმის მაზრის მცხოვრებ პარმენ (იგივე ნიკოლოოზ) დავითულიანისა, რომელთაც შემდეგი ბრალდებოდათ.

ამ წლის, 28 თებერვალს, შუაღამისას, ვარვარინოს სადგურის ცოტა მოშორებით მცხოვრებ რკინის გზის ხელოსანს ანდრია კუმსკოის თავს დასხმიან ბოროტ-მომქმედები. კუმსკოის ცოლს კარებში რაკუნი გაუგონია და უკითხავს—ვინა ხართო. იმათ უპასუხნიათ: გაგვიღეთ, ტელეგრამა არის თქვენ სახელზეო. ქალს კარი გაუღია და იმ დროს რამდენიმე კაცი ოთახში შევარდნილა. ცოლ-ქმარი მიმხვდარან, ვინ იყვნენ ეს დაუპატიჟებელი სტუმრები, გაუღიათ მეორე კარები და გამოსულან კარში. ეს გაუღიათ ბოროტ-განმზრახველებს, გამოცვივნულან, მოუვლიათ სახლისათვის მეორეს მხრით და დაუჭერიათ ცოლქმარნი. ქალი გულშემოყრილი წაქცეულა, ხოლო ანდრია კუმსკოი შეუკრავთ ბაწრით და დაუგდიათ ეზოში; ამასთანავე ხელი ყელში წაუჭერიეს თურმე და უთხრეს: ხმა არ ამოიღო, თორემ ეხლავე გაგათავებთო. შებოჭილს თავს დასდგომია ერთი ბოროტ-განმზრახველი, ხოლო მეორე, რომელსაც სახე ნახშირით ჰქონია შემურული დაბრუნებულა სესამე ამხანაგთან ერთად სახლში და დაუწყიათ ფულებისა და ნივთების ძებნა. შემდეგ კუმსკოისათვის გაუხსნიათ ხელი, წაუყვანიათ სახლში და უთქვამთ: ფული რაც გაქვს, მოგვეცი, თორემ მოგკლავთო. კუმსკოის უთქვამს: ნუ მომკლავთ და რაც რამე გამაჩნია, წაიღეთო. ბოროტ-მომქმედთ წაუღიათ ფულად 30 მან. ოქროს ორი ბეჭედი, ერთი ვერცხლის საათი, 6 ვერცხლის კოვზი და სხვა ნივთები. რამდენიმე დღის შემდეგ სოფელ ქვიშხეთის მამასახლისს წაუყვანია დარაჯები და ჩასულა ვარვარინოს სადგურზე. სადგურის ტელეგრაფისტს ხიხაძეს, როცა გაუგონია მამასახლისის მისვლა, გამოვარდნილა თავის სახლიდან და სადღაც გადასამალავად ფუთაში გამოკრული ნივთები წაუღია. მამასახლისი შესულა სადგურის მუშების სახლში და იქ უნახავს ცხინვალის მცხოვრები ივანე გიორგაძე, დაუჭერიათ და წაუყვანიათ ქვიშხეთის სოფლის საზოგადოების კანცელარიაში; იქ ამ დროს ყოფილა ანდრია კუმსკოი, რომელსაც უცვნია გიორგაძე და მამასახლისისათვის განუცხადებია, ჩემი გამძარცველთაგანი ერთი ეს გიორგაძეა, გარკვად ვიცანიო. ამის შემდეგ გიორგაძე გამოტეხილა და განუცხადებია, რომ ამ ბოროტმოქმედებაში ჩემთან მონაწილეობა მიიღო კიდევ ორმა კაცმა: ვარვარინოს სადგურის ტელეგრაფისტმა ხიხაძემ, ხოლო მეორეს გვარს ვერ გეტყვითო. გაუჩხრეკიათ ხიხაძე, რომლისთვისაც, გახდის შემდეგ, აღმოუჩენიათ ტანზე ჩამოკიდებული კუმსკოის ოქროს ბეჭდები და საათი. მერმე ამ საქმეში ბრალდებულად უცვნიათ პარმენ დავითულიანი და დაუპატიმრებიათ. ოლქის სასამართლოში ამ საქმის გამო ეკითხა რამდენსამე მოწმეს, რომელთაც შეამოწმეს საქმის სინამდვილე. ოლქის სასამართლოს გარგა ხანს თათბირის შემდეგ დამნაშავედ უცვნია ბრალდებულნი და ჰადაუწყვეტია ყოველივე უფლებაღირსებათა ჩამორთმევა და კატორგაში გაგზავნა: კონსტანტინე ხიხაძესა და ივ. გიორგაძისათვის 12 წლით, ხოლო დავითულიანისათვის 8 წლით.

II

2 დეკემბერს ტფილისის სამოსამართლო პალატამ გაარჩია საქმე მიხეილ არბოლაშვილისა, რომელსაც ყაჩაღობის ჩადენა ჰბრალდებოდა. ოლქის სასამართლოს დამნაშავედ უცვნია არბოლაშვილი და ყოველივე ღირსება-უფლებათა ჩამორთმევით კატორგაში 4 წლის ვადით გაგზავნა გადაუწყვეტია. სამოსამართლო პალატამ განიხილა სააპელაციო საჩივარი არბოლაშვილისა, უდანაშაულოდ იცნო იგი და გაამართლა.

III

1 დეკემბერს ტფილისიდან დუშეთს წავიდა ტფილისის ოლქის სასამართლოს სესია სისხლის სამართლის რამდენიმე საქმის განსარჩევლად.

დაბა-სოფლები

სოფ. შაშიანი (კახეთი). 27 ნოემბერს ღამის ცხრა საათზე ცეცხლი გაუჩნდა აქაურ მცხოვრებ ნიკო ბაინოვის ბზით სავსე საბძელს. სოფლის დიდი და პატარა მსწრაფლ მოგროვდა მისაშველებლად, მაგრამ გვიანღა იყო. ცეცხლი უცებ მოედო ჩალის სახურავს და მთლად გადაიბუგა. საბძლის წინა ნაწილში ცხენი ბმულა კვიცით, ცეცხლიც იქ გაჩენილა პირველად. კვიცი გადაარჩინეს, მაგრამ ცხენი და საბძელი დაიწვა. ხალხი ერთგულად მოეკიდა საქმეს. წყალი, იღბალზე, ახლოს იყო. გადაარჩინეს გარშემო ლობეები, იქვე ახლოს მდგომი სასიმინდე, მარანი, ფიჩხი და თივები. თუ ყოჩაღად არ მოქცეულიყვნენ, უბანი და იქნება ნახევარი სოფელიც დიდს სანსაცდელში ჩავარდნილიყო, რადგან ნიავი ჰქროდა და ნაპერწკალი შორს მიჰქონდა. ზარალი ღარიბი გლეხისთვის დიდია. ოჯახს იმ ერთის ცხენით უძღვებოდა. საიდან გაუჩნდა ცეცხლი, ჯერ არ გამოურკვევიათ.

აქეთ ამინდი ხელს უწყობს მუშა ხალხს. ქურდობა და შუა კაცობა ისევ გახშირებულია. იპარავენ და დამკარგავთან აღებ-მიცემობენ. თუ ღირებულს მისცემენ, დანაკარგი უბრუნდებათ, არა და სამუდამოდ ეთხოვებიან. ღვინოს ფასი ძალიან ნაკლები აქვს შინაურ ჩარჩების წყალობით. საპალნე 40—50 მანეთამდე იყიდება, წინად საპალნე 70—80 მანეთად იყიდებოდა. შეჰყურებენ რიგიანს მუშტარს და ის-კი არსად არის. გულს მხოლოდ იმით იკეთებენ, რომ ჩვენი ოცული ჩვენ უფრო შეგვერგებაო. ამიტომაც სულ ხშირად სმენ ზომაზე მეტს, ითვრებიან და, ვინ იცის, რას არ სჩადიან. მომეტებული ნაწილი იმასა ჰფიქრობს, ღვინო რომ ვერ გავყიდოთ, შინაურს და გარეულს ხარჯებს რითი გავუძღვეთო. ხარჯი დიდი აქვთ და შემოსავალი კი მცირე.

ა. ფ

დაბა ონი (რაჭა). ერთად-ერთი ხიდი იყო გადებული მდინარე რიონზე დაბა ონის მახლობლად. წლევანდელმა დიდმა წყლობამ ისე დააზიანა ეს ხიდი, რომ სიარული იმაზე აღკრძალულია. აკრძალვამდის მაზრის უფროსმა თავი მოუყარა მთელ ზემო რაჭის საზოგადოებას და ურჩია, სანამ ხაზინა განკარგულებას მოახდენს და ხიდს სრულებით განაახლებს, თქვენ შეაკეთეთ მცირედის ხარჯით, რომ არ აგვეკრძალოთ ხი-

---

გრამ დასვამენ თუ არა, მაშინვე ისევ ხელისკენ იწევს—ერთი სიტყვით რაღაც გამოურკვეველ მდგომარეობაშია: თხოულობს ძუძუს, მიაწვდიან, არ ეკარება მას; ეტანება ყველა საგანს, არც ერთს კი არ ეკარება; ხანდახან ყველა ამას ციებაც დაერთვის ხოლმე. მაგრამ ამოიჭრა პირველი კბილი და ყოველივე ჰქრება. საღ ბავშვს ადვილად ეჭრება კბილები, სისხლ-მოჭარბებული, სქელი ბავშვები უფრო ხშირად იტანჯებიან ამ მოვლენით. *).

ხელის-შეწყობა. პირველ-დაწყებითს მოვლა-კვებას დიდი მნიშვნელობა აქვს ამ შემთხვევაში: ბავშვები, რომლებიც პირველადვე კარგად იკვებებიან, ბავშვები, რომლის შესახებაც დაცული იყო ყველა ჰიგიენური და დიეტური პირობები, ყოველთვის ადვილად იტანენ ხოლმე ამ პროცესს. კბილის ამოჭრა არ არის ავადმყოფობა, მაგრამ იგი აძლიერებს მთელი სხეულის მოქმედებას და იყოლიებს ავადმყოფობითი მოვლენას.

როდესაც ბავშვი მოუსვენრობასა გრძნობს და ღრძილებს იტკივებს, შეგიძლიანთ გაუქარვოთ ეს ტკივილები ღრძილებზე თითის მოსმით, შეიძლება მისცეთ პირში ჩასადებად რეზინის რგოლი, იის ძირი და სუფთა ტყავის ნაჭერიც. მხოლოდ ამას ნუ დაივიწყებთ, რომ ეს ნივთები ძალიან სუფთად უნდა იყვნენ დაცულნი. აუცილებლად საჭიროა, რომ ბავშვი წმინდა ჰაერსა სუნთქავდეს: ზამთარში ოთახი უეჭველად გაანიავეთ ხოლმე და ზაფხულში კი ყოველ შემთხვევაში გარეთ ამყოფეთ ხოლმე. თბილ ესე 28—29 გრადუს საბანებელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს ბავშვისათვის. სისხლის მოწოლა შეგიძლიანთ შეაკავოთ თავის გაგრილებით. ამასა გთხოვთ, არა შემთხვევაში ემიკოს ქუდი ან რაიმე თავსახურავი არა ჰქონდეს თავზე, რადგანაც შეიძლება თავი ჩაუხურდეს და ამას ცუდი შედეგი მოჰყვეს. თუ ვინიცობაა ბავშვს სიცხე შეამჩნიეთ, ან თუ ბანაობის შემდეგ ცუდათ იძინებდეს, მაშინ აიღეთ ღრუბელი, ამოავლეთ წყალში (ნახევრად შეიძლება ძმარიც შეურიოთ), კარგად გასწურეთ და მერე წაუსვით თავზე. ეს შეგიძლიანთ დღეში რამდენჯერმე გაიმეოროთ. თუ თქვენი ემიკო ძუძუსა სწოვს, გთხოვთ ზოგიერთა ზომიერება დაიცვათ საჭმელ-სასმელში, რომ თქვენი რძე არ გასქელდეს. ბავშვის ძუძუს გაშვებინება ამ შემთხვევაში ძალიან მავნებელია. ერთი სიტყვით ამ დროს საჭიროა: 1) იცოდეთ რომ ბავშვისთვის მეტადრე ამ დროს საჭიროა სუფთა ჰაერი, სისუფთავე, ზომიერება სასმელ-საჭმელში, თბილი საბანებელი; ბავშვის გართობას ამ შემთხვევაშიაც ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. მე აქ, რასაკვირველია, იმ გართობის შესახებ არ მოგახსენებთ, როდესაც ბავშვს ანჯღრევენ, მაღლა ისვრიან, აქანავებენ და სხ. მე ვამბობ ნაზი სიმღერით გართობაზე. აბა, სცადეთ, როგორც „ბატონების“ დროს იცით ხოლმე, უმღერეთ ჩვენი ტკბილი „ნანინა“ „მზე-შინაო“ და სხ., თუ როგორ ესიამოვნოს მას, რა კარგი გავლენა ექნება მას ემიკოს დასუსტებულ ძარღვებზე. ცუდს ხმაურობას, ცუდს ხმას ვერ იტანს ბავშვი. გააგონეთ მას ტკბილი მუსიკა, ნაზი სალამური, თარი, ჩონგური, მიეცით რაიმე სათამაშო და მაშინ ნახავთ, როგორ დაივიწყებს თქვენი ბავშვი ყოველ გვარ ტკივილს და შეიძლება ამ გართობის შემდეგ, რაც ხშირად არის ხოლმე, კიდეც ტკბილად ჩაეძინოს *); 2) უნდა ფრთხილად იყვეთ ამ დროს, რომ ყველაფერი კბილის ამოჭრას არ დააბრალოთ და სხვა რაიმე ავადმყოფობა, რომელსაც არაფერი კავშირი არა აქვს კბილებთან, არ გაუქნელოთ: თითების მალი-მალ პირში ჩადება, ძუძუს მოჭერა ღრძილებით, ყვირილი, კვნესა და მოუსვენარი მდგომარეობა შეიძლება ტანისამოსით შევიწროებისაგან ხდებოდეს; ფაღარათი, ხველა, სივსივნე, სიცხე შესაძლოა დასაწყისი იყვეს რაიმე ძნელი ავადმყოფობისა და თქვენ კი „კბილების ციებაა“, „კბილის ხველაა“ გეგონოსთ და იგი დასტოვოთ უექიმოდ; 3) რომ არ შესცდეთ ამ შემთხვევაში სასარგებლოა იცოდეთ დრო და რიგი კბილის ამოჭრისა: პირველი ჯგუფი—ორი ძირის შუა საჭრელი კბილი იწყება 7 თვიდან; მერე მერვე და 10 თვეს ამოიჭრება 4 ზევითა საჭრელი კბილი, ჯერ ორი შუალა და მერე ორი განაპირა. 18 და 20 თვეებში იჭრება 4 ლოჯი, ან თვალის კბილს რომ ეძახიან; 5 წლისას ემატება კიდევ 3 ძირის კბილი (მუდმივი კბილი) და სხ. რასაკვირველია, არის ხოლმე შემთხვევა, რომ ყველა ბავშვს ამ რიგობაზე არ ეჭრება, რასაც არაფერი მნიშვნელობა არ უნდა მისცეთ, მხოლოდ თუ ორი წლის დასაწყისამდის არც ერთი კბილი არ ამოუვა. ეს კი მოასწავებს ბავშვის ავადმყოფობას, ორგანიზმის სისუსტეს და მაშინ კი გმართებთ ყურადღებით მოექცეთ ამ საქმეს.

აი ყველა ის, რაც შემეძლო მეთქვა ამ საინტერესო კითხვის შესახებ და ეხლა თქვენზეა დამოკიდებული, ბატონო ჩემო, თუ როგორ ისარგებლებთ ამ განაზიარით. მეორე კითხვაზე კი, ძუძუს გაშვებინების შესახებ, ნება მომეცით შემდეგ წერილში გემასლაათოთ.

ალ. ნათაძე

---

*) დაკვირვება: ჩემს ბავშვს მეათე თვეზე დაეწყო კბილის ამოჭრა და დღემდის 8 კბილი ისე ამოეჭრა, რომ ჩვენ არა შეგვიტყვია-რა. ამ მოვლენას იმითი ვხსნი, რომ საკვებავი კარგი ჰქონდა, უმეტეს ნაწილად ჰაერზე ვამყოფებდით და თბილ წყალში (28—29%) ბანაობით ხელს ვუწყობდით.

ალ. ნათაძე

*) ზოგიერთა ავტორები, როგორც მაგ. მალცოვი და ბევრი სხვა, სრულიად წინააღმდეგნი არიან ამ გართობისა, რადგანაც გართობაში ბავშვს უფრო უორკეცდება ტკივილებიო, მაგრამ გამოცდილება სხვას გვეუბნება და, მაშასადამე, მათი ფიქრი ამ საგნის შესახებ მნიშვნელობას მოკლებულია.

ალ. ნათაძე.

დით სარგებლობაო. ხალხმა ერთხმად უარი სთქვა, რის გამოც ამ შემოდგომის ალოს თავზე ისეთი წვენი იწვნიეს დაკეტილ ხიდის წყალობით, რომ თავიანთ ხელით თვითონვე იცემდნენ თავ-პირში. სასურველია, მაზრის უფროსმა განაახლოს შუამდგომლობა და დააჩქარებინოს ხიდის შეკეთება.

ხირხონელი.

წვრილი ამბები

გემზე დაბეჭდილი გაზეთი. ერთი ლონდონელი გაზეთი გვაუწყებს, რომ გაზეთის ბეჭდვა ახლა გემებზედაც დაუწყიათო. ინგლისის ქალაქ ლივერპულიდან ნიუ-იორკში წამსვლელ გემსთან წაუღია სტამბა, რომ მოგზაურობის დროს ყოველ დღე გაზეთი აეწყოს და მგზავრებს მიაწოდოს ამბები, რაც ხმელეთზე ჰხდება. ხოლო ახალ ამბებს ამ უცნაურ გაზეთს მიაწვდიან უმავთულო ტელეგრაფის საშუალებით.

ოქრო ადამიანის პირში. გაფუჭებულ კბილებისათვის აქამდე ტყვიას ხმარობდნენ, მაგრამ თან და თან ტყვიის ადგილს ოქრო იჭერს. ერთი მოცლილი ინგლისელი დამჯდარა და გამოუანგარიშნია ადამიანის პირში რამდენი ოქროა. უანგარიშნია და აღმოუჩენია, რომ დედამიწის ზურგზე 80 მილიონ ოქროს ატარებენ პირითაო.

ხანგრძლივობა ადამიანის სიცოცხლისა. სულ უკანასკნელი სტატისტიკის თანახმად, ყოველ წელიწადს მთელ დედამიწის ზურგზე 33 მილიონი ადამიანი ჰკვდება, ე. ი. საშუალო რიცხვით დღეში ჰკვდება 91,534 სული, საათში—3,730 და წუთში—62. საშუალო რიცხვით ადამიანი 38 წელიწადს სცოცხლობს. კაცობრიობის ერთი მეოთხედი მეშვიდე წლამდე იხოცება, ხოლო ნახევარი—მეჩვიდმეტე წლამდე. 100,000 კაცში ერთი კაცი აღწევს ხოლმე 100 წლამდე. ყოველ 1,000 კაცში, სამოცდაათს წელს რომ აღწევენ ხოლმე, 43 სასულიერო წოდებისა ან პოლიტიკოსნი არიან, 40—მიწის მუშაა, 33 უბრალო მუშაა, 32 ჯარის-კაცია, 29 ადვოკატი ან ინჟენერი, 26 პროფესორი და მხოლოდ 24 ექიმია.

რევოლიუცია ასტრონომიაში. ერთმა ოცდაორის წლის ყმაწვილმა იტალიელმა, ტომაზო ლანდიმ, მესინაში (იტალიაში) გამოიგონა ერთი საშუალება, რომელმაც მთელი რევოლიუცია უნდა მოახდინოს ვარსკვლავთ მრიცხველობის მეცნიერებაში. ლანდიმ ტელესკოპის ძალა ისე გაადიდა, რომ მისის საშუალებით შეიძლება ესა თუ ის მნათობი 50,000-ჯერ გადიდებულად დავინახოთ. თვისის გამოგონების შესახებ ლანდიმ მოხსენება წარუდგინა საფრანგეთის საასტრონომიო საზოგადოებას.

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა საგენტოსაგან)

2 დეკემბერი.

პეტერბურგი. „სობრანიე უზაკონენიე“-ში დაბეჭდილია, ელბუგის სამ-კლასიან სასწავლებელში მის იმპერატორებით უდიდებულესობის სახელობაზე სტიპენდია დაარსდაო.

ტვერი. იუნკერთა საკავალერიო სასწავლებლის დასათვალიერებლად მოვიდა დიდი მთავარი კონსტანტინე კონსტანტინეს ძე.

ადესა. გარდაიცვალა გამოჩენილი რუსის ქალი, მიუნხენის უნივერსიტეტის ზოოლოგიის რექტორი, სოფიო მიხეილის ასული პერეიასლავცევა, რომელსაც მეცნიერებაში საპატიო სახელი ჰქონდა მოხვეჭილი და რომელიც ქალთა უმაღლეს განვითარების საქმეში ერთი მეთაურთაგანი იყო.

სტამბოლი. ალბანელები და ოსმალები შეკრებილან მონასტირსა და მაკედონიის სხვა ადგილებში და გადაუწყვეტიათ, არც ერთს ევროპიელს არ მიეცეთ ნება მაკედონიის მართვა-გამგეობის საქმეში ჩარევისაო. მონასტირის წარჩინებულ მცხოვრებთა კრებას, რომელზედაც ბევრი ალბანელიც ყოფილა, პროტესტი გამოუცხადებია მაკედონიისათვის დანიშნულ ევროპიელ სამოქალაქო აგენტების წინააღმდეგ და დაჰმუქრებია იმათ, თქვენც ისე მოგეპყრობით, როგორც რუსეთის კონსულებსაო.

ბელგრადი. კრიზისის ასაცილებლად ფინანსთა მინისტრის პორთფელი დროებით მიიღო გრუიჩმა. ამბობენ, ბიუჯეტის დამტკიცების შემდეგ ფინანსთა მინისტრის თანამდებობას პუჩანი იკისრებსო.

რიაზანი. საქონლის მატარებელი რიაზანის სადგურში შემოსვლის დროს დასტაკებია სადგურის შენობის ქვის კედელს და შეუნგრევია; ერთი ვაგონი დაიმსხვრა და ერთიც დაზიანდა. არავინ დაშავებულა.

ასხაბადი. 1 დეკემბერს შუა აზიის რკინის გზის სამმართველოს უმთავრესს ბუხჰალტერიის კასა გაუქურდავთ. წაუღიათ 102 ათასი 700 მანეთი; დარაჯი შეკრული უნახავთ.

როსტოვი-დონზე. ქალაქის საკრედიტო საზოგადოების პირველი კრება მოხდა.

მინსკი. ქალაქის სესხის ობლიგაციების პირველ გაბათილების ტირაჟი მოხდა. ნავთით მოვაჭრეთა სინდიკატის წინააღმდეგ საბრძოლველად მოაწყეს საქალაქო ნავთის საწყობი, რომ მცხოვრებთ დაკლებულ ფასებში მიჰყიდონ ნავთი.

ორიოლი. საგუბერნიო საერობო კრებამ დაადგინა, მომავალ წელს ბრიანსკში დროებითი საპედაგოგიო კურსები დავაარსოთო.

კოსტრომა. საგუბერნიო კრებამ დაადგინა, საერობო სკოლების მასწავლებელ ქალთა და ვაჟთათვის ყოველ წლიური განმანათლებელი კურსები დავაარსოთო.

როსტოვი-დონზე. მეხუთე დღეა, რაც აზოვის ზღვაში ტაგანროგის ნაპირებთან წყალი სრულებით გაჰქრა. რამდენსამე ვერსის მანძილზე ზღვის ძირი სჩანს. ქარს ქალაქში აუარებელი სილა შემოაქვს. წყლის უქონლობისა გამო სამეტალურგიო და ტყავის საკეთებელ ქარხნებმა წარმოება შეამცირეს, ნავთ-სადგურში გემები უთავ-ბოლოდ აირ-დაირია და მიწაზე ჰყრია.

ურალსკი. 1 დეკემბერს, ღამის 12 საათზე, პოკროვო-ურალის რკინის გზის ლიანდაგის 79 ვერსზე სამხედრო მატარებელი დაიმსხვრა; 2 ვაგონი წაიქცა; 3 ვაგონი, რომელშიაც ახლად გაწვეული ჯარის-კაცები იყვნენ, ლიანდაგს გადასცდა. მსუბუქად დაშავდა ერთი ახლად გაწვეული ჯარის-კაცი დანარჩენი არაფერი დაჰშავებიათ.

3 დეკემბერი.

პეტერბურგი. ხელმწიფე-იმპერატორმა კეთილ-ინება და უბრძანა სტატს-სეკრეტარს ვიტტეს, დარჩეს წევრად ციმბირის რკინის გზის კომიტეტისა.—ხელმწიფე-დედოფალმა კეთილ ინება და ათასი მანეთი გაუგზავნა პეტერბურგის გრადონაჩალნიკს 12 ნოემბერს წყალდიდობისაგან დაზარალებულთათვის დასახმარებლად.

კიშინევი. სასამართლომ 6 ნოემბერს დაწყებული გამოძიება ებრაელთა წინააღმდეგ არეულობათა საქმისა გაათავა, პროკურორი ბრალსა სდებს თანახმად საბრალმდებლო ოქმისა.

პარიზი. აქაურ იაპონიის მისიას არავითარი ცნობა არ მოსვლია იმის შესახებ, ვითომ იაპონიის აქაური სამხედრო ატაშე გაწვეული იყოს.

ვენა. საიმპერიო ფინანსთა მინისტრმა ბურიანმა ჰუნგრეთის დელეგაციებს განუცხადა, რომ ხმები, ვითომ ავსტრო-ჰუნგრეთსა და საბერძნეთს შორის სამხედრო კონვენცია დადებულა, ყოველ საფუძველს მოკლებულიაო.

პორტ-არტური. „ნოვი კრაი“ დიდ შეცდომად სთვლის ინგლისის მხრივ, რომ მან მოინდომა ტიბეტის საქმეში გვერდი აევლო რუსეთისათვის იმ დროს, როდესაც ნიშნები არის რუსეთ-ინგლისის დაახლოვებისა.

რიაზანი. საგუბერნიო საერობო კრებამ დაადგინა, ვიშუამდგომლოთ, რომ გვიზღონ 339 ათასი მანეთი ზარალი, რომელიც არეს მონოპოლიის შემოღებისა გამო სოფლის საზოგადოებათ მოუვიდათ.

ვენა. ბოლგარიის სადიპლომატო აგენტ გეშოვის იმპერატორთან აუდიენცია არსებითად განსხვავდებოდა ბოლგარიის წარმომადგენლების ჩვეულებრივ აუდენციისაგან: ამ შემთხვევაში დაცულ იქმნა ის ცერემონიალი, რომელიც ელჩის მიღების დროს არსებობს. გეშოვმა „ნეიე ფრეიე პრესე“-ის თანამშრომელს აცნობა, რომ ყურადღება, რომელიც ბოლგარიის წარმომადგენელს აღმოუჩინეს, დიდის ხნობით დიდ შთაბეჭდილებას მოახდენს ხოლმე.

პარიზი. საფრანგეთისა და ისპანიის მთავრობებს შორის მოლაპარაკებაა გამართული ესპანიის შეფის პარიზს წასვლის თაობაზე, რომელიც გაზაფხულზე უნდა მოხდეს.—მინისტრ-პრეზიდენტი პარასკევს პალატას წარუდგენს განსახილველად კანონ-პროექტს, რომლის ძალითაც კონგრეგაციებს ერთმევა უფლება მასწავლებლობისა. კონგრეგაციებს დაითხოვენ და ქონებას ჩამოართმევენ. ეს კანონი სრულიად განხორციელდება 5 წლის განმავლობაში.—ერთს დიპლომატს განუცხადებია, როგორც ჩემ მიერ მიღებულ ცნობებიდან სჩანს, რუსეთის ნოტა, რომელიც იაპონიის მთავრობას გადაეცა, შეეხება მხოლოდ კორეასო. ჰფიქრობენ, რომ იაპონიის მთავრობა მიიღებს რუსეთის წინადადებებსო.

სტამბოლი. რუსეთისა და ავსტრიის ელჩებმა 30 ნოემბერს გარეშე საქმეთა მინისტრთან ერთად განიხილეს რამდენიმე მუხლი რეფორმათა პროგრამისა. ამნაირად დაიწყო დასახელებულ ღონისძიებათა დაწვრილებით განხილვა. ელჩებს გარდა მოწვეული იყვნენ ფარა-თეოდორი-ფაშა და ზექი-ფაშა.

ქერბელა. ხოლერა უფრო ვრცელდება; 29 ნოემბრამდე ავად გახდა 219 და მოკვდა 176 კაცი.

სტამბოლი. მაკედონიის ვილაეტებში ჟანდარმერიისათვის მოწვეულ იქნებიან 54 უცხოელი ოფიცერი და 150 უნტერ-ოფიცერი იტალიელ გენერლის უფროსობით.

სეული. გუშინ იაპონელებმა მოკპოში ჯარი გადმოსხეს გაფიცულ მუშების მიერ მომხდარ უწესოებათა ჩასაქრობად. იაპონიის ჯარმა ბრბოს თოფი ესროლა; მოკლულია რამდენიმე კაცი.—კორეიის ქულიების აჯანყებამ გამოიწვია შეტაკება იაპონელებსა და კორეელებს შორის. ჰფიქრობენ, ეს ამბავი საბაბად გახდება ადგილობრივ უთანხმოებისაო.

ლონდონი. გაზეთი „ტაიმს“-ი იტყობინება, რომ ამ ჟამად ლონდონში მყოფი იაპონელები, რომელთაც სამხედრო ბეგარა უწევდათ, გაიწვიეს იაპონიაში. იაპონიის საელჩო-კი აცხადებს, მე არაფერი არ ვიცი ასეთ განკარგულების შესახებაო.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი.

განცხადებანი

ქუთაისში
სამ. ბ. თოფურიას
სამკურნალო,
რომელიც იმყოფება **მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ.** სამკურნალოში 75 საწოლია შინაგან, ნერვებისა, სახირურგიო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდებ სენით და სულით ავადმყოფებს სამკურნალო არ ღებულობს.

დღიური ფასი საავადმყოფოში შენახვითა და წამლობით 1 მანათიდან 3-მდე.

სამკურნალო
ქალთა ავადმყოფობებისა სამშობიარო განყოფილებით ექიმების **ე. სობესტიანსკისა და პ. ჩერეპანოვისა.** მიღება დასაწოლად მოსულებისა, ფეხმძიმეებისა და მშობიარეთა ყოველ დროსა და საათს შეიძლება, საჭირო წინ-და-წინვე განცხადება.

ადრესი: ანასტასიევის ქუჩა, სახლი ჩერეპანოვისა. (15—187—9)

აფხანაურის სანერგე
ამერიკულ ვაზისა
მიხრან ალ. ანანოვისა იყიდება ერთის წლის ფესვიანი ვაზები, ამერიკულ ვაზებზე დამყნილი როგორც ადგილობრივ, ისე ფრანგულ ჯიშისა, იყიდება აგრეთვე ამერიკულ ვაზის რქა და გიბრიდები.

აქვე შეიძლება მსურველმა შეუკვეთოს სხვა-და-სხვა ჯიშის ვაზის დამყნობა მომავალ 1904 წ. წლის სეზონისათვის.

ადრესი: სად. რიონი, ამიერ-კავ. რკ. გზისა.
მიხრან ალ. ანანოვი (10—210—4)

დაიბეჭდა და ისყიდება
ქართულ წიგნის მოვაჭრეებთან
1904 წ.
ქართული
კედლის კალენდარი
წელიწადი მეთექვსმეტე
შედგენილი და გამოცემული გრ. ჩარკვიანის-მიერ.
ფასი 40 კაპ. (ნ. 5—5)

ცინკოგრაფია
წიგნებ. გამომც. ქართველთა ამხანაგობისა
ვანქის დიდი ქუჩა, № 27, ტელეფონი № 372.
კლიშეების გაკეთება შეიძლება ფოტოგრაფიულ სურათებიდან და ხელით ნახატებიდან.

„Тифлисскій Листокъ“
(годъ изданія XXVII-й).

Въ 1904 году, какъ и раньше, газета будетъ выходить ежедневно, заключая въ себѣ слѣдующіе отдѣлы и подъотдѣлы: 1. Дѣйствія и распоряженія правительства. 2. Телеграммы отъ собственныхъ корреспондентовъ и „Россійскаго телеграфнаго агентства“ 3. Статьи по общимъ краевымъ вопросамъ, а также по вопросамъ городской жизни и городского самоуправленія. 4. Внутреннія извѣстія. 5. Иностранныя извѣстія. 6. Мѣстный отдѣлъ (хроника тифлисской жизни и другихъ мѣстъ Кавказа и Закавказья). 7. Корреспонденціи изъ разныхъ мѣстъ Кавказа (отъ нашимъ корреспондентовъ). 8. Злободневныя фельетоны. 9. Судебный отдѣлъ. 10. Письма читателей. 11. Обзоръ печати (общей и кавказской). 12. Фельетоны (городской, обозрѣніе кавказской жизни, популярно-научный, историческіи, беллетристика иностранной и внутренней общественной жизни, журнальное обозрѣніе и др.). 13. Театръ и музыка. 14. По Росіи. 15. Смѣсь. 16. Справочный отдылъ и объявленія.

По понедѣльникамъ подписчикамъ будутъ разсылаться телеграммы съ справочнымъ отдѣломъ и объявленіями.

ПОДПИСНАЯ ЦѢНА

На годъ: съ доставкой въ Тифлисѣ—5 р., съ пересылькой иногороднымъ—7 р.—за границу—12 р. На полгода: въ Тифлисѣ—3 р., для иногородныхъ—4 р. и заграницу—7 р. На 3 мѣсяца: въ Тифлисѣ—1 р. 75 к., для иногородныхъ— 2 р. 50 к. и заграницу—4 р. На одинъ мѣсяцъ: въ Тифлисѣ—75 к., для иногородныхъ—1 р. и заграницу—1 р. 50 к.

ПОДПИСКА ПРИНИМАЕТСЯ на любой срокъ, но только съ 1-го числа каждаго мѣсяца, исключительно въ конторѣ изданія. Головинскій проспектъ № 3.

ПЛАТА ЗА ОБЪЯВЛЕНІЯ: для Закавказья за мѣсто, занимаемое строкой петита передъ текстомъ—10 коп. и послѣ текста—5 к. Извѣшенія о зрѣлищахь печатаются на первой страницѣ по 20 к. за строку и на 4—по 10 коп. За объявленія въ справочномъ отдѣлѣ взимается по 8 к. за строку. Объявленія внѣ предѣловъ Закавказья принимаются исключительно въ центральной конторѣ торговаго дома Л. и Э. Метцль и Комп. въ Москвѣ, Мясницкая, д. Ситова и въ отдѣленіяхъ его— С.-Петербургѣ, на Большой-Морской, № 11: въ Варшавѣ, Краковское предмѣстье № 53. по 24 к.—передъ текстомъ и 12 коп, послѣ текста. (ჰ. 3 1).

1904 | На 1/2 года 5 р. съ перес. | годъ изданія X. | На годъ 8 р. съ перес. | ГОДЪ

ОТКРЫТА ПОДПИСКА
НА ЕЖЕДНЕВНУЮ
торгово-промышленную, политико-общественную и литературную иллюстрированную газету
„ЗАКАСПІИСКОЕ ОБОЗРѢНІЕ“.

Задачи газеты „Закаспійское Обозрѣніе“ заключаются, главнымъ образомъ, въ выясненіи экономической и общественной жизни Закаспія и въ содѣйствіи развитію промышленности въ Средней Азіи и русскихъ торговыхъ сношеній съ сопредѣльными съ Закаспійской областью государствами.

Для послѣдней цѣли при газетѣ „Закаспійское Обозрѣніе“ издается въ видѣ приложенія

ПЕРСИДСКАЯ ГАЗЕТА

того-же наименованія, спеціально предназначенная для сближенія Персіи съ Россіей.

ПЕРСИДСКАЯ ГАЗЕТА

снабжена иллюстраціями, а также и русскимъ переводомъ.

Въ особыхъ ежемѣсячныхъ иллюстрированныхъ приложеніяхъ въ теченіе 1904 г. будутъ помѣщены:

„Пребываніе г. военнаго министра А. Н. Куропаткина въ Туркестанскомъ краѣ въ 1901 году“ и „Музей Императора Александра III“.

Первое изъ этихъ произведеній иллюстрировано автотипіями въ числѣ свише 100. Второе-же представляетъ роскошный альбомъ автотипныхъ снимковъ и лучшихъ картинъ, находящихся въ музеѣ Императора Александра III.

Такимъ образомъ, въ концѣ 1904 г. подписчики будутъ имѣтъ полное иллюстрированное описаніе поѣздки г. военнаго министра А. Н. Куропаткина по Туркестанскому краю и полный альбомъ автотипныхъ снимковъ съ лучшихъ картинъ музея Императора Александра III, заключенный въ изящную папку.

Въ отдѣльной продажѣ „Пребиваніе г. военнаго министра А. Н. Куропаткина въ Туркестанскомъ краѣ“ будетъ стоитъ 5 р., „Музей Императора Алтксандра III“—3 р. Подписная цѣна: за годъ—8 руб., за 6 мѣсяцевъ—5 руб., за 3 мѣсяца 3- руб. 75 к. за 1 мѣсяцъ—1 руб. за границу за годъ—12 руб.

Разсрочка платежа допускается: при подпискѣ какъ городскихъ, такъ иногороднихъ подписчиковъ. вносится 2 руб., а затѣмъ ежемѣсячно до уплаты всей годовой суммы по 50 коп.

Лица, подписавшіяся съ разсрочкой платежа, получаютъ всѣ безплатныя приложенія.

(ჰ. 3—3)

Дозв. ценз. Тифлисъ 3 декабря 1903 г. ელექტრონის სტამბა წიგნების გამომც. ქართ. ამხ—ისა, (Электропеч. Груз. Издат. Т—ва